ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მდგომარეობა ახალი სააღმზრდელო წლისთვის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 15 მოქმედი საბავშვო ბაღია, კერძოდ დაბაში 3, გოგოლესუბანი, შუაამაღლება, ერკეთი, ქვენობანი, ბუკნარი, ბასილეთი, იანეული, ბუკისციხე, კოხნარი, საჭამიასერი, ჩაისუბანი, ახალი ბაღები გაკეთდა ზოტი, ხევი, ერკეთი, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ამაღლება, სამება. კომისიამ შეისწავლა მიმდინარე ახალი სააღმრდელო წლის ბაღების მდგომარეობა.

მ/წ თითქმის ყველა ბაღში ჩატარდა მცირე ან მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები. ზოგ ბაღში ხარისხის ინსპექციის მოთხოვნის შესაბამისად მოწესრიგდა სანიტარულ- ჰიგიენური მდგომარეობა, ხოლო რიგ ბაღებში ჩატარდა მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ბაღში სამუშაოები ნაწარმოებია უხარისხოდ ან არ შეესაბამება სტანდარტებს. სარემონტო სამუშაოების წარმოების, ბაღების რეაბილიტაციის და მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები შედგენილია არაკვალიფიციურად, სტანდარტების გაუთვალისწინებლად, ხშირად ხდება მასში ცვლილებების შეტანა, ხარჯთაღრიცხვები არ შეესაბამება დეფექტურ აქტებს ან ხშირ შემთხვევაში დეფექტურ აქტებში მოყვანილი სამუშაოები ხარჯთაღრიცხვაში არ არის შეტანილი ან ნაწილობრივ კეთდება, სხვადასხვა მიზეზების გამო, მშენებლის მოთხოვნით ადგილი აქვს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების კორექტირებას.

კომისიამ შეისწავლა ყველა საბავშვო ბაღში არსებული მდგომარეობა და შედეგი ასეთია:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ შემოწმებული იქნა სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. რომლის დროსაც აღმოჩენილი იქნა უამრავი შენიშვნა, რომელიც ხელს უშლის ამ დაწესებულებების ნორმალურ ფუნქციონირებას. მოქმედ ბაღებში არ აქვთ წყალი რომლის მოტანა ხდება შორი მანძილიდან ყოველ დღიურად. არ აქვთ ტუალეტი ბავშვებისათვის და ამ მიზნით ხდება ბაღის სხვა ოთახის გამოყენება, და ბაღები სადაც აქვთ ტუალეტები არ არის დამონტაჟებული საბავშვო უნიტაზები და ხელსაბანები. ძალიან ცუდად

არის ჩატარებული მიმდინარე რემონტები. არ ყოფნით ოთახები ჯგუფის დასამატებლად რაზეც არის მოთხოვნა ბავშვების სიმრავლის გამო, არ აქვთ სათამაშოები და რაც აქვთ ის მშობლების და პედაგოგების მიერ არის მიტანილი. არ არის სრულად შეცვლილი სამზარეულოში ალუმინის ჭურჭლები, რომლის გამოყენებაც აკრძალულია, გამწოვი არის არასტანდარტული რაც გამოიწვევს ახლად გარემონტებული ჭერისა და კედლების დაზიანებას. არ ყოფნით ლოგინები დასაძინებლად და ხდება ბავშვების მორიგეობით დაძინება. ეზოები არის აბსოლიტურად მოუწყობელი ბავშვების დასვენებისათვის, ღობეები მოუწესრიგებელია, აუცილებელია ყველა ბაღში იყოს ექთანი, გამოყოფილი იყოს ოთახი და შეძენილი იყოს პირველადი დახმარების მედიკამენტები. შესაცვლელია კვების მენიუ, ხშირია შემთხვევები როცა ბავშვებს არ ყოფნით პური და ბავშვთა კვების მენიუს კალორიულობა არ შეესაბამება პრემიერის ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებაში ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ- კალორიულობას. ბაღებში სადაც მიმდინარეობს ან დასრულებულია რემონტი როგორც ზემოთ ავღნიშნეთ უხარისხოდ არის შესრულებული სარემონტო სამუშაოები, არ არის გათვალისწინებული ბაღის სპეციფიკა, არ არის საბავშვო უნიტაზები, ხელსაბანები, არასწორად არის დაპროექტებული ოთახების განლაგება, გარეთა კიბეებზე გამოყენებულია შიდა დაგების მეტლახი, რაც საშიშროებას წარმოადგენს როგორც ბავშვებისთვის ასევე დიდებისთვისაც. არ არის მოსამსახურე პერსონალის ცალკე ტუალეტი, არის წყლის პრობლემები, არასტანდარტული გამწოვებია დამონტაჟებული სამზარეულოში.

მიემართოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს შესაბამის სამსახურებთან ერთად შეისწავლოს ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტები და სასწრაფოდ დაისახოს ღონისძიებანი მის აღმოსაფხვრელად და საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **დავით შარაშიძე**